წარმოგიდგენთ ტესტის რამდენიმე ნიმუშს, ოლიმპიადაზე დაგხვდებათ 35-40 საკითხი.

ყურადღებით წაიკითხეთ სულხან-საბას იგავ-არაკი და უპასუხეთ კითხვებს:

ერთი კაცი და ერთი დათვი დაძმობილდნენ. კაცმა დათვი სახლში მიიწვია. დათვი ესტუმრა, თბილად მიესალმა კაცსაც და მის ცოლსაც. ცოლს დათვის სიმყრალე ეცა და თქვა:

– პირმყრალ სტუმარს ვერ ვეწყობიო!

წავიდა გულნატკენი დათვი.

გავიდა დრო. ეს კაცი ტყეში წავიდა და თან ცული წაიღო ხის მოსაჭრელად.

დათვი გულიანად შეეგება, თუმცა, ბოლოს დაიჟინა:

– თავზე ცული დამკარი და დამჭერიო!

კაცმა იუარა, მაგრამ დათვი არ მოეშვა. ბოლოს დაჰკრა ცული და თავი გაუტეხა.

დათვი ტყეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა.

ერთი თვის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს. დათვს ჭრილობა შეხორცებული ჰქონდა. დათვმა კაცს უთხრა:

– ძმაო, შენი ცულით დაჭრილი თავი გამიმთელდა და შენი ცოლის ენით დაკოდილი გული კი - არაო...

1. ნაწარმოების პერსონაჟები არიან:
   ა. დათვი და კაცი ბ. დათვი, კაცი და მისი მეუღლე გ. მონადირე და კაცი
2. რატომ ეტკინა გული დათვს?
   ა. სტუმრად მისულს საყვარელი კერძი არ მიართვეს.
   ბ. მასპინძელმა მისი მხოლოდ ურყოფითი მხარე დაინახა და აღნიშნა.
   გ. მასპინძლებს მისი მორთმეული საჩუქარი არ მოეწონათ.
3. რაზე მისანიშნებლად დასჭირდა დათვს ,,თავზე ცულის დაჰკვრა“?
   ა. სურდა ეჩვენებინა, რომ მას არაფრის ეშინოდა.
   ბ. სურდა ეჩვენებინა, რომ კაცი არ იყო სანდო მეგობარი.
   გ. სურდა ეჩვენებინა, თუ რა დიდი ძალა აქვს სიტყვას.
4. იგავის მიხედვით:
   ა. სიტყვით მიყენებული ჭრილობა უფრო მტკივნეულია, ვიდრე ცულით.
   ბ. ცულით მიყენებული ჭრილობა უფრო მტკივნეულია, ვიდრე სიტყვით.
   გ. ორივე პასუხი სწორია.
5. ,,დაკოდილი“ ანუ
   ა. დაჭრილი ბ. გახარებული გ. დამნაშავე
6. ნაწარმოების მიხედვით, რომელი <u>არ</u> არის მართებული მსჯელობა?
   ა. იგავში ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებები მიეწერება ცხოველს.
   ბ. იგავის მიხედვით, დათვი გონიერი და გულწრფელი არსებაა.
   დ. კაცს არ ჰქონდა დათვთან მეგობრობის სურვილი.

შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

7. <u>განათლებული</u> თაობა შეძლებს შეცვალოს ყოფა.
   ა) გაუნათებელი ბ) წიგნიერი გ) ბედნიერი
8. <u>გაფაციცებით</u> უმზერდა გოშია კნუტს, სახელად კუდა.
   ა) ფაციფუცით ბ) აღელვებით გ) ყურადღებით
9. <u>თავზარდაცემული</u> იდგა მეფე გიორგი, მებრძოლთა შემყურე.
   ა) გაბრაზებული ბ) დამშვიდებული გ) შეძრწუნებული
10. გზად <u>შხაპუნა</u> წვიმამ მოგვისწრო .
    ა) თავსხმა წვიმა ბ) კოკისპირული წვიმა გ) ხშირი წვიმა
11. ვახტანგი ბრძოლაში <u>სიმტკიცით</u> გამოირჩეოდა.
    ა) ვაჟკაცობით ბ) სისუსტით გ) სიკეთით
12. რომელი არ შეესიტყვება ხაზგასმულ სიტყვას:
    მესრის თავზე როსტია <u>ამოყელყელავდა .</u>
    ა) ამოძვრა ბ) ამოვიდა გ) ამოხმა

13. რომელი <u>არ</u> შეესიტყვება ხაზგასმულ სიტყვას:
    ქალაქიდან მოსულ დავითს <u>არაქათი</u> გამოლეოდა
    ა) ძალ-ღონე ბ) ენერგია გ) სიტყვა

ბონუს სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

14. ,,ფრთები გამოესხა“ ანუ
    ა) დაივიწყა ბ) ვერ მოითმინა გ) ძალიან გაუხარდა
15. ,,გულიდან ამოიღო“ ანუ
    ა) დაივიწყა ბ) ვერ მოითმინა გ) ძალიან გაუხარდა
16. ,,სულმა წასძლია“ ანუ
    ა) დაივიწყა ბ) ვერ მოითმინა გ) ძალიან გაუხარდა
17. ,,გული წაუვიდა“ ანუ
    ა) გონება დაკარგა ბ) არეულობაა გ) ამოწყვეტა, მოსპობა
18. ,,თავში ბზე უყრია“ ანუ
    ა) უტვინო ადამიანია ბ) არეულობაა გ) ლოდინით დაიღალა